

მუშაობ

ISSN 0132-6015

23 84

„სპირტიანი სასმელებისადმი მიღრეკილება ღუპავს ადამიანთა ჯანმრთელობას, აუბედურებს ოჯახს. დიდ ზიანს აყენებს ლოთობა წარმოებას, და საერთოდ ჩრდილს აყენებს ჩვენი ცხოვრების წესს“

კ. უ. ჩარნინკო



ნ. ბ. შ. აბაშიძისა

— ეს მუშად მაინც ველარ ივარგებს და ბარემ წუნს გავაყოლოთ!



ნახ. ზ. ლომიძის

ზოგიერთი საწარმო და დაწესებულება, რომლებიც აღამიანს მუშაობის მოხერხებულ პირობებს უნდა უქმნიდნენ, მას მართლაც რომ ტანჯვის გზით ატარებენ, აკარგვიანებენ უამრავ ძვირფას დროს და უშლიან ნერვებს.

— სამი დღეა მტანჯავენ, ჩანთა მივიტანე შესაკეთებლად...
— მი ჯვარს მაცვეს, ორი კვირაა ტელევიზორს მირემონტებენ.




გემით ვმგზავრობთ...
კაცზე მითხრეს;
კაციან საქმოსანი,
მე მეგონა საქმიანი,
თურმე იყო ბანქოსანი.
მეორეზეც ასე მითხრეს,
ბიჭიან საქმოსანი,
საქმე უყვარს, არ გეგონოს
მსახიობი ან მგოსანი.
გამაფრთხილეს, ეგ არისო
ყოვლისშემძლე საქმოსანი,
ჰოდა, სულ არ გაგიკვირდეს,
ერთ დღეს თუ გაგაქროსავეით...
სხვაც მინახავს ფულის მონა,
და, პირიქით, — მონა მისი,
ის კი გემზე იდგა ცოლთან.
ვით უაკლინთან ონასისი...
იქით ვილაც აბოტებდა,
ვისკისა და მანგოს მსმელი,
ჩიბუბს ისე აბოლებდა,
თითქოს იყო „არგოს“ მხსნელი.
აქეთ ვილაც ნებივრობდა
მზით გარუჯულ საყვარლებში,
თითო კილო ფული მისცა
საყვარლების საკაბეში...

„— რას მოგყავდი კაცო, აქეთ? —
ამიხირდა ცოლი ჩემი,
— სადმე სხვაგან წაგეყვანე,
მაზოლს მაინც მოვირჩენდი,
ჟანგივით მაქვს ხელისგული
ნახებავი „კასრულების...“
რაღა ბევრი გავაგრძელო,
დღე დამიდგა აღსრულების.
„— ტანზე კაბა არ მაცვია,
სად გამოვჩნდე ფეხშუშველი,
როცა სახლში დავბრუნდებით,
ემშაკები ვერ გიშველის!..“
გადაჯვრიეს საქმოსნებმა:
საჭმელ-სასმელ-სამოსელით,
და მათ გვერდით ისე ვჩანდით,
ვით ბავშვები — სამოსნები.
„ვოლგებში“ და „ჟიგულებში“
ძლივს მოვძებნეთ ავტობუსი,
ჩავსხედით და ნაცემივით
სახლისაკენ გამოვუსვით...
—:—:—

თუ არაფრის არ შემრცხვება,
თუ გავეძარცვავ სვეტიცხოველს,
ამ უსაქმო საქმოსნებზე
უკეთესად მეც ვიცხოვრებ!..

გურამ კლდიაშვილი



გ თ ს ლ ვ თ ! ..

ჩამოსული ვარ რაიონიდან. ცოლით და ორი ბავშვით ვცხოვრობ თბილისში, სიღვდრთან. ავტორიტეტის ამსღლების მიზნით, გთხოვთ, ორიოდე წუთით გამომეყვანოთ ტელევიზიით. ამით თქვენ ხელს შეუწყობთ ქართული ოჯახის განმტკიცებას!

ა. შავინა

ნიანგის იუკილილი კონსულგასია

შაქითხვა: საავადმყოფო, სადაც მთავარი ექიმი ვიყავი, სრული დატვირთვით არ მუშაობდა. 100-საწოლიან საავადმყოფოში 10-15 საწოლი სისტემატურად თავისუფალი იყო ხოლმე ავადმყოფების ნაკლებობის გამო. ვამათავისუფლეს – საავადმყოფო სრული დატვირთვით არ მუშაობს და გეგმას ვერ ასრულებსო.

გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენად სწორად ვარ დასჯილი?

პასუხი: თუ ავადმყოფები გაკლდათ, შეგეძლოთ ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები მოგეთავსებინათ საწოლებზე. ამით ორი საქმე გაკეთდებოდა: გეგმასაც შეასრულებდით და უფასოდაც გამოკვებავდით მათ.

შაქითხვა: საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უმაღლესში ვერ მოვეწყე, არც მუშაობის დაწყებაზე მიფიქრია. რამდენიმე წელია ვარ მშობლების კმაყოფაზე, თავს კარგად ვგრძნობ, არავის არაფერზე არ ვაწუხებ. მილიცია მაინც მაძალავს მუშაობა დაიწყეო, ვაფრთხილების სელწერილებიც ჩამომართვენ და ბოლოს პასუხისგებაშიც მიმეცს მუქთახორობისათვის.

გთხოვთ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე და რა გზას დავადგე?

პასუხი: მაგაზე ნუ იდარდებთ თუ ასე განაგრძებთ, შესაფერ გზაზე სასამართლო დაგაყენებთ.

პასილ ხვალაქი

მოხსნილ მოსეს მოხსენების ხსენებაზე თავბრუსხვის.

აზრასიონს ეფროსინე აფროსნების უფროსის სამოსლით მოსავს.

სვიტრიანი მიტრო სიტროს მარტო მარტში სვამდა ლიტრით.

ლემს ელო ელოლიაგება, ელოს ლეო ალილაგებს. **ტასიკო** საკვებად ვასიკოს ურჩევს სუკებსა და სოკოს.

შურას კაბა შარიშურობს, შურით მოსდეს შარიშურას.

ლერა ლორიას ორი როლი აქვს; არ თქვათ — „ლორი აქვს“, როლი როლია!

გ. ცინცხალი

მ ნ ი ს

გ ა ს ა ტ მ ე ზ ი

არ მოკვდებოდა!..

რომ მოკვდა, ახლა აქებენ, ვითომდა გულგებდამწვარნი!.. ცოცხალზე გაიძახოდნენ: არც ლეინოაო, არც წყალი!.. სიცოცხლეშივე რომ ექოთ, არ მოკვდებოდა საწყალი!..

ნოდარ ზამანაძე

3 0 3 0 1 . .

წნავის აწვევის გამო ვცვლი ჯიხვის ერთლიტრიან ყანწებს ტულის სამოვარზე. სხვა ფირმებს ნუ შემოგვთავაზებთ!

ა. ლვინიაშვილი

თუ...

თუ არაფერი გაწუხებთ, კარგად დააკვირდით — რატომ?

თუ მარჯვენა ყბაში გაგარტყეს. მარცხენას ნუ მიუშვართ, — ისედაც გაგარტყამენ.

თუ უფროსი ქუჩაში არ მოგესალმათ, მაინცდამაინც ნუ გეწყინებათ, — გამორიცხული არ არის, რომ მართლა ვერ დაგინახათ.

თუ მტრები არ გყავთ, გულს ნუ გაიტყნებთ, ყველაფერი ჯერ კიდევ წინა გაქვთ.

თუ სადმე მგელს შეამჩნევთ, არაფერი შეიმჩნიოთ; თუმცა ანას მნიშვნელობა არა აქვს — მთავარია, მგელმა არ შეგამჩნიოთ.

შალიას კოჩიაშვილი

ქოსტა ხეთაგუჩუნი

საბირალი კუპლები

სამღერად უელს მოვიღერებ.
 უველას მივუზღავ საკადრისა.
 თუნდაც ეს ჩემი სიმღერა
 დამთავრდეს დაკა-დაკათი:
 ძღვენს და ფულს რომ არ
 თაკილოვ.
 რომ წამოგზრდია მუცელი,
 უანი რეცეპტი. აჰიმო.
 ავადმყოფს რამეს თუ უველის?
 რომ დაღიხარ და ფაცურობ.
 მსაჯულთ. ბევრს რომ ახურობ.
 ერთი მითხარი კაცურად,
 სიპართლეს მართლა მსახურობ?
 დაღიხარ კარით კარამდ.
 აგობ. არ მუავსო გადალი.
 ხალხი სარკმლედან გადადის.
 — უსტა. კარები სად არი?
 სანიტარს ვინ რას გაუბავს,
 უნოსვაც დაკარბა. ნამუსიც.
 რა კაცის უნოსვა გაუძღვებს
 ბაზრის ნაბავს და ნამუსრემს?
 ახლა საწყობთან მივიდეთ.
 მებრამ ტყუილად ვირჯებით.
 სახლში გაზიდა უკველი.
 ურეზილით დაწყდენ ვირთხები.
 წიკე და წიკე არკები.
 კანცელარის მფრალთ.
 ის მინც არ ბაბრავდება.
 იძახის „კარიკარალთ“.
 სადღაც ღუჭანი კმონია.
 კონება თავზე გადასდის.
 მადით ნამდვილი ღორია.
 სიფათით — ნაღდი ხვადები.
 ათასჯარ მუავხარ ნანახი.
 მუღამ მავ ძალღთან სეირნობ.
 ვთქვათ და უვილები არა გუავს.
 მხარიც არა გუავს. კნეინა?
 ფილანთროპია. ვითოვდა
 მოქმის სიუვარულს გვასწავლის..
 გლახაკმა ხურდა ითხოვა. —
 კინალამ მოკლა საწყალი.
 ხომ ვიცით კაცის გუნება:
 არვის არ უყვარს მხილება.
 „ჰკვიანი“ დამემღურება.
 „სულელს“ კი ბავცინება.
 არ გვავარ წერას აბანილს.
 თუმც თანახმა ვარ მბაზებ. —
 თუკი უკველი მათხანი
 დავაბი თავის ბაბავებ.

თარგმნა ელდარ კერეშვიძემ





— შეიღო, მე თუ გარეთ ვიბარავ, სამაგიეროდ სახლში მომაქვს... შენ რა, სახლიდან იბარავ და გარეთ გაგაქვს?!



— შენ რომ გამოუსწორებელი ბრაკონიერი ხარ, კი ვიცი, მაგრამ ამ ძაღლს რაღას ხვევ შარში?!

ტელეფონი

ჯიხურთან ათიოდე მოქალაქე იცდიდა.
— ...მე დროს ტარება მიყვარს!.. კაკოიამ თქვა?... ენა დააქლმოს მა ბოთემ, სოენარხოზის გარაფივით რომ დაუღია პირი!.. რავე, ჩემი ხელები ბიულეტენში კი არ გამიშვია!.. დააკლავ და მწვადს შევწვავ მაგისი ბარკლებიდან!.. სომ, შუსხუნა მწვადს! რა უნდა მაგ საბანცაღეს?! იმისთანა სიტყვას ვეტყვი, ხამი დღე და ღამე ნუშეხებს იკეთებდეს!.. ვერ მოვალ... მე ძალიან ცოტა მაქვს დრო, პარმენ!..

ჯიხურთან ახლა თექვსმეტი მოქალაქე იცდიდა. ზოგი მათგანი წავიდა, ზოგმა გაზეთი შეიძინა.

— რას ლაებობს ამდენ ხანს ეს უსაქმური? — წამოიძახა ერთმა და შემინულ კარზე დააკაკუნა.

— ნამდვილად კრეტინია!

— რა დეემართა ვანოია თავებრიგინებულს?! ამდენ წამალს ის-ხამს მუცელში და კიდო აუადაა?... წერილი არ წვილოს... კაკოიი ღორთავა კაცი არაა, ბიჭო!.. რო დაეჩეჩევე და მაგისი მსუქანი სორცებიდან კატლეტს რომ შევბრაწავ, მერე გვიგებს ყველაფერს!.. სხვა რამეს ნუ მომკითხავ, თვარა ღონე დიდი მაქვს მე!.. კიდო ჩვირთო ვილაც ტელეფონში!.. ვაჩუმდი, კაცო!.. მე ვღრიალებ, თუ შენ?!.. დააგდე ტრუპა!.. უსაქმური არ გეგონო!.. თითონა ხარ სულღიანი!..

— დიდი ხანია ლაპარაკობს? — იკითხა ახალგაზრდამ.
— დილის აქეთ.

— არიან აღმაიანები, რომლებიც იმისთვის ცხოვრობენ, რომ სხვები გააწამონ! — თქვა ვილაც ქალიშვილმა.

რამდენიმე მოქალაქე ქუნას გაუყვა.

ახალგაზრდამ რაღაც ჩაილაპარაკა, ჯიხური გამოაღო, მარჯვენა მკლავი წელზე შემოაჭლო ნომრევის, მარცხენით ყურმილი წაართვა, თქოზე მოიგდო, გარეთ მოისროლა და თქვა:

— მობრძანდით, ქალბატონო, მგონი თქვენი რიგია... შენ კი ტელეფონომანიითა ხარ დაავადებული, — დამცინავი ღიმილით უთხრა ნომრევის. — საჩქაროდ მიაკითხე ექიმს!

ერთხანს შეუვინდა შეურაცხყოფილი ნომრევიანი, გაფითრდა.

— ცოტა ზრდილობა კია საჭირო, — წაილულულა, — მე უსაქმური არ გეგონო.

საათს დახედა. ცხრას სუთი წუთიდა აკლდა. გაიტვა. კიბე აირბინა. განყოფილებაში შევიდა. სუნთქვა მოიშვიდა. განყოფილების უფროსი და მოადგილე მივლინებაში იყვნენ წასულნი. იქ ხამი ტელეფონის აპარატი იდო: წითელი, მწვანე და თეთრი, ერთი-მეორეზე უკეთესები და ლამაზები. თვალები დაუტკბა, გაეღიმა, უფროსის სავარძელში ჩაჯდა და წითელ აპარატს წაავლო ხელი:

— ალო, ალო!.. პარმენა!.. იმას გეუბნებოდი, ბიჭო, როდის წახვალ ბათუმში?.. კარგად არ მესმის, ახლა ვილაც ქალი მღერის ტელეფონში და ხელს მიშლის... რავე ტურასავით კივის ეს ოჯახქორი!.. ალბათ მუცელი ტკივა!.. აბა, ტყუილა სომ არ იკივლებს, მე კაცო!.. ახლა ტრაქტორი ჩვერთო!.. ბიჭო, ერთი კი არა, ორი ტრაქტორი ჩვერთო!.. აღარაფერი მესმის!.. ნახვამდის, ნახვამდის!..

სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ ნომრევისმა ხალვათობა იგრძნო. განყოფილებაში აღარავინ იყო. ახლა უფრო ღრმად მინებდა უფროსის სავარძელს და დაიწყო:

— დათიკო ხარ?... ნომრევიანი ვარ მე!.. მოდი ერთი „სულიკო“ ვიმღეროთ!.. არ გინდა?... მუსიკოსები ვიყავი არიან!... კაცი რომ სიტყვებით იმღერებს, გადარეულია აბა რაა?! როცა დავლევ და მომე-ხსიათება, მაშინ ვმღერი მე!.. კარგად არ გესმის?... შენც მოუმატე ხმას!.. კიდო მოვე-მატო?!.. კიდო?!.. გაგვჯი და ესაა!.. აღარ შემიძლია მე-ტი!..

ახლა ზუსტად ორმოცი წუთი იყვია ნომრევისმა. დაოსდა. თავბრუ დახევა. მერე მარჯვენა ხელი მწვანე ტელეფონს წაავლო და:

— ალო, ალო! — თბილი, ალურსიანი ხმით დაიწყო მან, — გამარჯობა, ჩე-



მო სასუქვარო თა-პრიკო!.. რავე ხარ, შემოგველვ?! შენ რომ გავივებით უვ-ვარხარ, ჩემო შე-უღარებულო მზე-ოუნახავო, ის ნომრევიანი ვარ მე!.. შენი საქმრო!.. რა მინდა და ამ საღამოს თუატრში გიწვევ... ოთხმოცი წლის ბებერი ხარ?! პოდიში, ქალბატონო!.. რატომ ვარ, ქალბატონო, დე-გენერატი?! მე სწორად ავკრიფე ნომერი და რა ჩემი ბრალია?!

გიორგი გვირგვინი

ოქაქოზის
ბავშვართს

567

306 314 32

დავალება

უპირის უპირის მას ბრუნვის დღეებში ერთად...
და ერთი რაოდენი უფრო ვინაობისად...
სახე არაა ერთი, ტრამვას ბავშვს...
დაცვის მასა ტრამვის გველიდან...
დაცვის ურესგან სახანძროში ბავშვობა...
დაცვის მასა სახანძროს განსაკუთრებით უფრო...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...

ლამს რომ განმარტობ, მართლა მივცემოხერ
დღესაც...
აქტიურობა უფრო, უფროსად შეუძლებ
საინტელიგენტო მითვისებელს მავსე პირად...
ფუნქციონირებს უკვე დაგვირგვინს მინი...
ფუნქციონირებს უკვე დაგვირგვინს მინი...
ფუნქციონირებს უკვე დაგვირგვინს მინი...
ფუნქციონირებს უკვე დაგვირგვინს მინი...
ფუნქციონირებს უკვე დაგვირგვინს მინი...

იკრძალოს, მტკიცე

იკრძალოს, მტკიცე, მტკიცე, მტკიცე, მტკიცე...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...

გვირგვინი პავლე ი. ბერიძეძისას



საინტელიგენტო მითვისებელს მავსე პირად...
ფუნქციონირებს უკვე დაგვირგვინს მინი...
ფუნქციონირებს უკვე დაგვირგვინს მინი...
ფუნქციონირებს უკვე დაგვირგვინს მინი...
ფუნქციონირებს უკვე დაგვირგვინს მინი...
ფუნქციონირებს უკვე დაგვირგვინს მინი...

ჩამკვრებს და ჩემს განსაცემად მტკიცეობს...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...


ინფორმაციური ვარკვევა 536

ინფორმაციური ვარკვევა 536...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...

— თუ ასეა, იმას ვაკვირდები...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...

მთარსი ვაჭარი პავლე პავლეს

მთარსი ვაჭარი პავლე პავლეს...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...



დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა

დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...

— აქი, აქი უფრო...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...
დაცვის მასა დაცვის მასა დაცვის მასა...

ნახ. ა. ისინიანი



უსიტყვოდ

უთავო მხედარი

ქართული
გონივრთეა

... ის უთავო დაიბადა.
შავი გახლდათ, როგორც ყვავი.
ფული ჰქონდა, კაცი ჰყავდა,
რა საჭირო იყო თავი?!

სკოლა კარგად დაამთავრა,
უმადლესში შედგა ფეხი.
ხუთი წელი ინსტიტუტში
ისე იღო, როგორც მერხი!

დიპლომი რომ ხელში იგდო,
ორ თვის შემდეგ მოხდა ასე:
ბიჭვინთაში ისვენებდა,
სამსახურში როცა დასვეს!

დიღირამბებს შეაჩვიეს,
პრემიაც კი მისცეს ორჯერ,

ამიტომაც თავიანი
უთავობას ნატრობს ზოგჯერ!


უთავოს კი „თავით გააქვს!“
ეს ცხოვრება, არ აქვს შიში.
მისი თავი ცენტრშია და
სხვისი თავი — აბსაილში!

ზოგი მაინც კრძალვით უცქერს,
ბევრიც მის წინ მუხლზე ხობავს...
ყოველ დღით თეთრი „ვოლგით“
სამსახურში ღიბი მოჰყავს!

ჯერ მფარველი კარგადა ჰყავს
და გრიანებს ბიჭი, სოსა,
თუ მოუკვდა, მაშინ თავი
დაედგმება უთავოსა!

ჯამალ კვერცხილაძე

ნახ. ვ. კუციანი



უსიტყვოდ

ერთ ხერბილთან

იგავი

ღათეს გაჰქონდა ტორით პანტა.
ღააკავა, ჩამოართვა!..

— „გაეცალო ამ ტყეს უნდა!“ —
მელაკუდას მიუბრუნდა, —
ჰოეკიდა ვისაც ფუთა,
უსაბუთო!..

ღროს დაკარგავს მელა ფუჭად?!
საქმე წყნარად მოაყუჩა!..

ჰოდა, მექრთამე და ფლიდი,
გაატარა მგელმა რიდიტ!..

— „გუშინწინ კი წუწკი ტურა
მაგრად ამოაპანღურა!..“

— „გაუძაგრავს ციყვი გუშინ,
პირი წაბლით ჰქონდა სავსე,
ზოგს მალავდა თურმე მუჭში!..“
ბაჭიები ბჭობდნენ ასე.

...მელაკუდა დახლთან ცქვიტად
ვაჭრობს თხილით მამასისხლად!..
აჰ კი მგელი მშიერ კურდღლებს
ცალყბად უღრენს!..

სოსო გერიძე
(ჩოხატაურის რაიონი)

ნახ. ნინო სხენიაშვილისა



უსიტყვოდ

სინათლე ნიანგს

კვირვასო ნიანგო! ჩვენს სოფელს ვარდისუბანი (ღმანისის რ-ნი) ჰქვია, მაგრამ არ იფიქროთ, ვარდ-ყვავილებით გვაქვს მოფენილი გზა.

აბანო აგვიშენეს, წყალი არ არის, ახალი კლუბი მწყობრში ჩადგა, კინოფილმებს ვერ ვუყურებთ — ხმა არა აქვს! ბოძები ჩაყარეს ქუჩებში სინათლის გასაყვანად, მაგრამ ამ ქუჩების განათებასაც არ დაადგა ნათელი!

—:—:—

უწყლოდ ცხოვრება შენზე უკეთ ვინ იცის რას ნიშნავს, ამიტომაც სოფელ ნორიოში (გარდაბნის რაიონში) უწყლობის გამო ვერ გეპატიუებით, დახმარებას კი გთხოვთ! — დანგრეული ქალაქები და სოფლები აღუდგენიათ და ჩვენთან რა გახდა ერთი პატარა წყლის სათავე — ნაგებობის აღდგენა?

—:—:—

სოფელ ოტიბაიას (გალის რ-ნი) შრომისმოყვარე მშრომელებს ეგზოტიკისათვის არ გვცალია. ბორანს დიდი ხანია ყავლი გაუვიდა, წყვეტილად მიმდინარე ხიდის მშენებლობა ახლა მთლად შეწყვეტილია, ჩვენ კი თევზები არა ვართ, ენგური გადავცურ-გადმოვცურაოთ და პირში წყალი დავიგუბოთ.

—:—:—

ერეთში (ორჯონიკიძის რ-ნი) გამავალი სამანქანო გზა დაზიანებულია, რამდენიმე წელია მდინარე დუმალაზე ხიდის ასაგებად რეღსებია მოტანილი, მაგრამ ამშენებლებიც სღუმან და რეღსებიც უმოქმედოდ ყრია. ახალი ყურნალ-გაზეთებითაც არა ვართ განებივრებულები, რადგან ფოსტალიონები შორ გზაზე სიარულს თავს არიდებენ, აქაოდა ხანდისხან სინათლე არა გაქვთ და რა გეყურნალ-გეგაზეთებათო.

—:—:—

კლარა ცეტკინის ქუჩაზე (ოქტომბრის რ-ნი) 89 ნომერში ერთ-ერთი მობინადრის სარდაფში სასმელო წყლის მილიდან წყალი უხვად გადმოდის, სწორედ საშენად აღგლია, ძმაო ნიანგო! მოდი და იცურე რამდენიც გინდა! თორემ, როცა ძირგამორეცხილი სახლი დაინგრევა, ამღვრეულ წყალში შეიიღება უფრო დიდი ღლავეები დაიჭირო, მაგრამ ჩვენ აღარაფერი გვეშველება.

—:—:—

გუთნის ქუჩაზე (26 კომისრის რ-ნი) ქუჩის ეთილმოწყობის მიზნით მოვიდნენ მშენებლები, ქუჩა

გადათხარ-გადმოთხარეს, ორმოები უფრო გაადიდეს და წავიდნენ.
დავრჩით ჩვენ, ამ ქუჩაზე მდებარე სპეციალური უსინათლოთა სკოლა და ორმოები...

—:—:—

**არ იფიქროთ უმადური ხალხი ვიყოთ რაზიკა-შვილის ქუჩის მცხოვრებლები, პირიქით, ძალიან გაგვიხარდა, როდესაც მოვიდნენ რაიონის კეთილმოწყობის მესვეურები და ქუჩა შეგვიკეთეს, მაგრამ ახლა აღარ ვიცით როგორ დავაღწიოთ თავი მიწას, ხრეშს, სილას და კიდევ სხვა ნარჩენებს, რითაც ქუჩა თავიდან ბოლომდეა დაფარული.
შველას თქვენგან ველი!**

—:—:—

ჩვენ დიღმის მასივიდან გაწუხებთ!
მე-5 კვარტალის მე-II კორპუსის მობინადრეებმა ამ ოცი წლის მანძილზე გავაშენეთ ნაძვის, ფიჭვის, კაკლისა და ვაზის ბუჩქნარითა და ყვავილნარით დამშვენებულ ბუჩქნარი, მოვასფალტეთ კორპუსთან მისასვლელი გზა. მაგრამ რამდენიმე ვაი-მობინადრემ აჩეხა ყვავილნარს ხეებს მიაჭრა ფესვები, გარაჟისთვის გათხარა მიწა და დააბეტონა საძირკველი. ეს გააკეთეს აღაშიანებმა, რომელთაც თითი არ გაუნძრევიათ ამ უბანში ხეების გაშენების დროს. ეზო სავსეა მანქანებით, ბავშვებს კი სათამაშო აღგილი აღარ დარჩათ. ეს იციან სახლმშობლებმა და უბნის ინსპექტორმაც, მაგრამ რატომღაც სღუმან...

პატივცემულო ნიანგო! თუ ეს არ გჯერათ, მოდით და საკუთარი თვალით ნახავთ! იქნებ თქვენ მაინც შეაჩეროთ თვითნაკეთი ნახევარგარაჟების მშენებლობა!

ნარილის კვალდაკვალ

„ჩვენი სახლის მშენებლობა (ავჭალის გზატკეცილი № 30) დაიწყო 1982 წელს, მაგრამ მშენებელ-მემონტაჟეები აჭიანურებენ მის დამთავრებას. ბოლო და ბოლოს, როდის ჩადგება სახლი მწყობრში?“ — გვწერდნენ თბილისის ლენინის რაიონიდან.

ამ წერილის თაობაზე ლენინის სახელობის რაიონის სახალხო დებუტატთა რაისაბჭოს აღმასკომიდან მოგვწერეს:

„ავჭალის გზატკეცილის № 30-ში თქვესმეტსართულიანი კარკასული საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მართლაც ჰიანურდება. დამკვეთი არის კაპიტალური მშენებლობის სამმართველო, ხოლო გენმოიჯარადრე — № 10 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველო. მუშაობა დაიწყო ორი წლის წინათ. მიმდინარე წლის თებერვალში აღნიშნულ მშენებლობაზე დამონტაჟდა ტექნიკური ამწე, რომელსაც 12 დღის შემდეგ დაუზიანდა ისარი. ამის შედეგად სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეჩერებულ იქნა მთელი თვით. ამჟამად ამწე აღდგენილია, მაგრამ მუშაობა მაინც ნელი ტემპით მიმდინარეობს.

პარტიის ლენინის რაიონულმა კომიტეტმა გლდანის პარტრაიკომის წინაშე დააყენა საკითხი მშენებლობის დაჩქარების შესახებ. საჭუშაოების დამთავრება და სახლის საექსპლუატაციოდ ჩაბარება გათვალისწინებულია 1985 წლისათვის.“



უსიტყვოდ

შეყვანილობის უხეშა

(აბსურდული იუმორი)

კონტაბა ავანგარდისტმა ვადაულ ლაზთურია ტრინიტროტოლოლის რითმას რომ ვერ მიაგო, ამაში დამნაშავე უპირველეს ყოვლისა ფსიქოანალიტიკის ინსტიტუტის ასპირანტი მზიულა გულედანი იყო, რომელმაც დამის სუთის ნახევარზე სასლამდე მიაცილებინა თავი უცნობ ვაჟს.

ცხადია, ვაჟი მხოლოდ მზიულას მეზობლებისათვის იყო უცნობი, თორემ მზიულა მას უკვე წაღამოს ცხრა საათიდან იცნობდა. უცნობობაც ამ შემთხვევაში მეტისმეტად პირობითია, რადგან ვაჟი ცნობილი სპორტსმენი, წარსულში საქართველოს სამეზის ჩემპიონი კომპლექსურ ცურვაში, ამჟამად კი ასევე ცნობილი არქიტექტორი გახლდათ, რომლის პროექტიც ფრანც იოსების მიწაზე ტროპიკულ სნეულებათა სამეცნიერო-სასწავლო კომპლექსი შენდებოდა. მზიულას მეზობლებსაც რა ხანია უსიზრო ძილით ეძინათ და მზიულას კი ნაცნობი ახალგაზრდა მოაცილებდა თუ უცნობი, ამ წუთას, თქვენ წარმოიდგინეთ, მათთვისაც კი სულ ერთი იყო!

მით უმეტეს, რაში ენადლეუბოდა ეს ვადაულ ლაზთურიას, რომელსაც ტრინიტროტოლოლის რითმა თვით პოეტ-ინტელექტუალ ანდრია ამალობელის წიგნშიაც კი არ ეგულებოდა, თუმცა მისი მშვენიერი წიგნი — „თესლი ცაცხვისა ვერტმურენისებრი“ ერთი კვირაა, რაც საწოლთან ედო. მასში იყო სანტექნიკური ოზინატორა, ეპაირ-ბილდინგი, კოსმოგრაფია „ბინგ-707“

ციკლოტრონიც კი... მაგრამ არამც და არამც — ტრინიტროტოლოლი.

კომპლექსური ცურვის ექსპერიმენტი და ექსპერიმენტული კომპლექსების მაროექტები, მეცნიერული ენით რომ ვთქვათ, მთელი რიგი კომპლექსებით იყო შეპყრობილი. კონკრეტულ შემთხვევაში მას არასრულფასოვნების კომპლექსი უშლიდა ხელს მზიულას მიერ ნებადართულ დონემდე გათამაშებაში. ვინ იცის, იქნებ იგი შინაგანად ეჭობდა კიდევ, რომ მის დაკომპლექსებულობას ჩამწვდარი, ფსიქოანალიზის სერიოზულ სკოლაგამოვლილი ქალიშვილი ამას მხოლოდ მეცნიერული ექსპერიმენტის ფარგლებში აკეთებდა.

— მზიულა! — როგორც იქნა, სმა ამოილო ზემოთნა მეზობლის მანქანასთან მიანლოებისას,

მზიულა გაიტრუნა. ვაჟის მარცხენა ხელის მტვევანი ქალიშვილის ლოყასა და კისერზე მისრიალებდა, ვიდრე ვკრიშალს ღუხასავით გამოდებულმა ცერმა არ შეაჩერა.

— მზიულა..

— ხელი აი-დე! — გაისმა სიბნელეში ცივი, უსიცივნო, თითქმის მექანიკური, ყოველგვარი ქალურობისაგან დაცლილი სმა.

ვაჟმა დენდარტემულივით მოსწყვიტა ხელი მზიულას სახეს.

— ხელი აი-დე! — განმორდა წყვილიაღმი და, როდესაც არა მარტო ქალიშვილის, არამედ უკვე საკუთარ თავზეც ხელაღებულმა ვაჟმა მზიულას თვალებში შეხედა, მათში, სიბნელის მიუხედავად, მისაზე უფრო დიდი გაოცება ამოიკითხა.

— ხელი აი-დე! — ახლა უფრო მკაცრად და სხამაღლა გაისმა და ვაჟი მიხვდა, ეს სმა მანქანიდან მოდიოდა, რომლის კაპოტსაც იგი მარჯვენა ხელით უნებლიეთ ეხებოდა სოლმე.

— სიგნალიზაცია! — პირზე აფარებული ხელით ცდილობდა სიცილის ჩახშობას მზიულა.

საქციელწამხდარი ჩემპიონი მიხვდა, ახლა მას ვეღარაფერი იხსნიდა რომეოს როლის

ვარდა, რისთვისაც მას ამჯერად ნაჭიროზე შეტი ასაკი და საჭიროზე ნაკლები შთაგონება ჰქონდა.

მან მანქანის კაპოტიდან აიღო ხელში ვიდრე ვაწმინდებისაგან თავბრუსხვევით მისთვისაც კი მოულოდნელად მზიულას წინადადებას მისცემდა — წონასწორობის დასაცავად იდაყვით მიეყრდნო მანქანის წინა კარის ჩარჩოს.

— რე-ზო! რე-ზო! რე-ზო!..

— ჩაითო ადამიანისხმიანი სიგნალიზაცია და ვიდრე გულგახეთილი რეზო ადიდასის წითელი ტრუსებითა და ხელში ვინჩესტრით მეშვიდე სართულიდან ფეხშიშველა ჩამოირბენდა, კომპლექსური ცურვის ექსპერიმენტი უკვე მართონული რბენის მსოფლიო რეკორდს ემუქრებოდა.

დამეს მანდარინებით გამოეხსნა ვაჩირადღებული ფანჯრები.

— ვერ მოასწრეს გაძარცვა! — ფანჯრებთან მომდგარ მეზობლებს მიახარა რეზომ, „შერსედეც — ბენცის“ გულდასმით დათვალერების შემდეგ.

ვადაულ ლაზთურიას ხევიანად გაელიმა — ფანჯრების შუქით განათებული ტრუსების ამარა მდგარი რეზო პოსტზე ძილის დროს გაძარცვულ დამის დარაჯს ჰგავდა, მძინარესაც რომ ვერაფრით გამოპკლიევეს აოფი ხელიდან.

მამაკაცები ისე უკმაყოფილოდ უბრუნდებოდნენ საწოლებს, თითქოს მწვაველი უქუტიანი, მრავალსერიიანი, სატელევიზიო დეტექტივის უკანასკნელი სერიის ჩვენება განუსაზღვრელი ვადით გადაიდო.

ქალებს ერთი შეხედვით უფრო გაუმართლდათ, რადგანაც ქმრების სთორით ფანჯარასთან მოსულებმა მზიულა აღმოაჩინეს და ახლა ერთნაირად არ ასვენებდათ როგორც მზიულას ამ რიბობაზე ქუჩაში ყოფნის მიზეზი, ასევე მისი ფრანგული საღამოს კაბის ფასონი.

— უკ, ერთი წამესწრო, მე მაგათი... — შეყვანებული სერიის მაყურებლების გასაგონად რიზიანად დაიქაღნა რეზომ, ერთხელ კიდევ შეათვალეირა ლიმუზინი და კიბეებს აუყვა.

ვადაულ ლაზთურია მიხვდა, რომ ამ აჟიოტაჟით ურადღებდაფანტული ტრინიტროტოლოლის რითმას ვეღარ მიაგნებდა, მაგიდის ლამპა ჩააქრო და ვერტიკალური მდგომარეობიდან პორიზონტალურში გადავიდა.

დავწეები, დამეძინება, პირჯვარი დამეწურება, ცხრა სატი, ცხრა ანგელოზი, სასთუმალს დამეხვეწება!

გაახსენდა ლექსოცვა, ბუბია რომ ამჟობრებიხებდა ხოლმე ბავშვობაში ძილის წინ. ოღონდ ის კი ვეღარ გაიხსენა ზუსტად, ნამდვილად თავისი ბავშვობიდან ახსოვდა ეს ფაქტი თუ აკაკი წერეთლის მეშუარებიდან.

— რა უმწურო რითმებია, — გაიკვირვა ავანგარდისტმა, — ახლა სხვა დროა, ასეთი რითმებით წერა სირცხვილია...

ვადაულ ლაზთურიას უცებ გაახსენდა, ლექსების წინა წიგნში, „თრომბი ქალაქის არტერიამი“ რომ ვრქვა, რა მშვენივრად ვართმა — ვასტროენტეროანასტომოზი, და, თითქმის ჩამინებულს, კმაყოფილების ღიმელმა გაუნათა სახე.

გიგეილ ჟურდინი

სიყვავილი, ფიაზები, პერიფიაზები...



ხაბიუროკრატალი
სკამოსნები
უსაქმოსნები
ნახევარფაბრიკანტი
საფრიალოსნე
გადამლაგებელი
თვითშეგინება
გამოჩენილი ანონიმისტი
ყბადაღებული საიდუმლო
ქვეშევეშა მგელი
გამგლებული კრავი
ჩუმი აურზაური
შორსმხედველი ბრმა
ყბედი ყრუ-მუნჯი
ახალგაზრდა პენსიონერი
უთეთრესი ლექსი

აპოლონ ბასილიანი

დილოგები

ფიცი

ამერიკის შეერთებული შტატების კორპორაციები საოკუპაციო ჯარების დახმარებით შეიჭრნენ გრენალაში და ხელაყვეს მისი ეკონომიკა.

ნახ. ზ. ლომიძისა

— მიყვარხარ, ძვირფასო! გეფიცები, შენზე უკეთესი ქალი მთელ ქვეყანაზე არაა!..
— როგორ, მთელი ქვეყნის ქალების ნახვა უკვე მოასწარი?!

ჯაჭვიანი არაყი

— ჭაჭის არაყი ჯაჭვს რომ იკეთებს, რას ნიშნავს?
— ეს იმას ნიშნავს, რომ ვინც მას დაესარბება, ჯაჭვით დასაბმელი გახდება!

რადიქსიანი

რადიქტორმა ამოიხვნიშა:
— ასეთი ლექსებით შორს ვერ წახვალ!..
— ბატონო რადიქტორო, მე არსად არ ვაპირებ წასვლას, თქვენთან მინდა დავიბუჭო!

გაუგებარი

— კარგი ადგილი გამოვძებნე, მაგრამ არ მიმიღეს.
— რატომ?
— ჩაწერილი უნდა იყო!
— ეგ არ იცოდი? შენც ადექი და ჩაწერე!
— გინდ ადექი და გინდ დაწექი! არ მწერენ, სამუშაოდან ცნობა მოიტანე!
— მერე?
— რა მერე?!
— რა ქენი, კაცო?
— რა უნდა მექნა, როცა ყველაფერი გაუგებარია?!
— ყველაფერი კი არა, შენ ხარ გაუგებარი, მეტი არავინ! ახლაც ვერ გაიგე?
— მგონი, ვიწყებ გაგებას!..

გიგლა განტაქა



კოლორადოს სოჭო

89-799



სატირისა და იუმორის ყუ-
რნალი „ნიანგი“ № 23
(1681) დეკემბერი. გამო-
ვის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადღეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი).
კობულა ამირჯიანი, ნომადი
ბართია, ბორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჭე-
შელ ლოლუა, ნოდარ შალა-
შონია (მხატვარ-რედაქტო-
რი). აღექსანდრე ხაშოსია,
ბეჟან ხობარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჭანსულ ჩარკვიანი, თამაზ
წიგწივაძე, ნაფი ჭუსოთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადეცა ასაწყობად 6. 11.
84 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 14.12.84 წ. ქალაქ-
ლის ზომა 60 X 90¹/₈
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, საღრებიცხო-საგა-
მომცემლო თაბახი 1,9. სა-
ქართელოს კვ ცვ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14.
შეკვეთა № 2537 უე 06646.
ტირაჟი 142 700. ყურნალი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008,
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან - მემენტანის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели
№ 42. Издательство ЦК
КП Грузии. Типография
издательства ЦК КП
Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.

შპსი 20 აპაპიპი
05დეპსი 76137


КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ნახ. შ. ლელაძისა




— შესდექ, რაინდო, ქარის წისქვილი არ გეგონოს!

ნახ. 3. კუციანისი



უსიტყვოდ

ნახ. 3. დინსაძისა



— ეს საიდანღა გამოიჩეკა?
— ჩეკებიდან!

Handwritten numbers: 793, 94/11-84, and a circular stamp.